განკარგულება:**გ-37. 37243603**
თარიღი:**25/12/2024**

განკარგულება N58

25 დეკემბერი 2024 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გ.ეპისკოპოსის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.371) მდებარე 237 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 112 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გ.ეპისკოპოსის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.371) მდებარე 237 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 112 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სარგებლობაში, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 10 (ათი) წლის ვადით, გარე კაფის მოსაწყობად შპს. ვასაძის პური“-სთვის (ს.ნ. 237077961) გადასაცემად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1000 (ერთი ათასი) ლარით.

მუხლი 3. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი